

# თირკმლების ქრონიკული დაავადება

კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო  
სტანდარტი

(პროტოკოლი)

# თირკმლების ქრონიკული დაავადება

## გამოყენებული შემოკლებები

NKF – National Kidney Foundation

PARADE – Proteinuria, Albuminuria, Detection and Elimination

თქდ - თირკმლების ქრონიკული დაავადება

აწ - არტერიული წნევა

აგფ - ანგიოტენზინის გარდამქმნელი ფერმენტი

არ - ანგიოტენზინის ოეცეპტორი

პდ - პემოდიალიზი

პდ - პერიტონეული დიალიზი

თჩთ - თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია

მაპდ - მუდმივი ამბულატორიული პერიტონეული დიალიზი

| ჯანმრთელ პოპულაციაში თირკმლის დაზიანების მთავარი მარკერის – პროტეინურიის გამოვლენა.

## თქდ გამოვლენა (სარწმუნოების დონე I, რეკომენდაცია A):

- შარდის ანალიზი პროტეინურიის, პემატურიის, ლეიკოციტურიის გამოსავლენად პირველადი სკრინინგის მეთოდით ტესტებით;
- პროტეინურიის შემთხვევაში ცილის რაოდენობრივი განსაზღვრა 24 საათიან შარდში ან დილის შარდში პროტეინ/კრეატინინის ან ალბუმინ/კრეატინინის ფარდობის მიხედვით;
- არტერიული წნევის გაზომვა;
- გლომერულური ფილტრაციის სიჩქარის გამოთვლა.

## რისკ ფაქტორების მატარებელ პაციენტებში (სარწმუნოების დონე II, რეკომენდაცია B):

- თირკმლებისა და საშარდე გზების სონოგრაფიული გამოკვლევა;
- სისხლის შრატში კრეატინინის, შარდოვანას განსაზღვრა;
- სისხლის შრატში ელექტროლიტების განსაზღვრა (ნატრიუმი, კალიუმი, ჰლორი, ბიკარბონატი, კალციუმი, ფოსფატები);
- შარდის ხვედრითი წონა ან ოსმოლარობა;
- შარდის pH-ის განსაზღვრა.

პროტეინურიისა და პემატურიის გამოვლენისას – დიაგნოსტიკის გაგრძელება ალგორითმებით მოწოდებული თანმიმდევრობის დაცვით.

**თირკმლის გოგონების ნაწილის დაზიანებისას – თირკმლის ბიოფსია დაავადების მორფოლოგიური ტიპის განსასაზღვრად.**

**თირკმლის დაზიანების მარკერების გამოვლენის შემთხვევაში – რადიოლოგიური კვლევების მიზნობრივად შერჩევა.**

**თირკმლის დადგენილი დაავადების შემთხვევაში – ძირითადი დაავადების კურნალობა**

გფს-ის დაქვეითება მიანიშნებს თირკმლების ქრონიკული დაავადებზე, როგორც თირკმლის გამოვლენილი, ასევე თირკმლის გამოუვლენელი დაავადების შემთხვევაში.

#### თქლ-ს I, II სტადია (სარწმუნოების დონე I, რეკომენდაცია A):

- ძირითადი დაავადების მკურნალობა
- აგვ-ინკიბიტორების/არ-ბლოკერების დანიშვნა;
- აწ მაჩვენებლების მკაცრი კონტროლი (შაქრიან დიაბეტიანებსა და მაღალი ხარისხის პროტეინურისას < 125/80mmHg, დანარჩენ შემთხვევებში დასაშვებია <130/80mmHg);
- გლიკემიის მკაცრი კონტროლი შაქრიანი დიაბეტის შემთხვევაში

#### თქლ III სტადია (სარწმუნოების დონე I, რეკომენდაცია A):

თქლ-ს I, II სტადიებში მითითებული დონისძიებები. გართულებების – რენული ანემიის, რენული ოსტეოპათიის გამოსავლენი დონისძიებები.

#### თქლ-ს IV და V სტადია (სარწმუნოების დონე I, რეკომენდაცია A):

- აწ მკაცრი კონტროლი
- წყალ-მარილოვანი ცვლის კორექცია (ჰიპერკალემია, ჰიპოკალცემია, ჰიპერფოსფატემია)
- მეავა-ტუტოვანი წონასწორობის, კერძოდ, მეტაბოლური აციდოზის კორექცია
- რენული ანემიის კორექცია
- რენული ოსტეოპათიის კორექცია
- პაციენტის თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიისათვის (თხო) მომზადება; გფს 8-10 მლ/წთ/1,73მ<sup>2</sup>, მაგრამ არაუგვიანეს 6 მლ/წთ/1,73მ<sup>2</sup>, (სარწმუნოების დონე I, რეკომენდაცია A): თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის დაწყება.

პაციენტის კარდიოვასკულური სტატუსის შეფასება (სარწმუნოების დონე II, რეკომენდაცია B): თხო დაწყებამდე და შემდეგ 6 თვეში ერთხელ.

თხო დაწყების წინ: HBV, HCV და HIV ვირუსებზე სკრინინგი (სარწმუნოების დონე II, რეკომენდაცია B) და შემდეგ 6 თვეში ერთხელ. B ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

ჰემოდიალიზის მონიტორინგი: სისხლძარღვოვანი მიღებომის წინასწარი უზრუნველყოფა. ჰემოდიალიზის სეანსების დოზირება (სიხშირე, ხანგრძლივობა) შარდოვანას კინეტიკური მაჩვენებლების მიხედვით  $Kt/V \geq 1,2$ ,  $URR \geq 65\%$ . ჰემოდიალიზის სტანდარტულ დოზად ითვლება: პდ-ს 4 საათიანი სეანსი კვირაში 3-ჯერ. დიალიზატორის შერჩევა ინდიკირდუალურად. წყალდამაზადებელი სისტემა (რეგერს-ოსმოსი) ულტრაწმინდა წყლისათვის. ანტიკოაგულაცია.

**პერიტონეული დიალიზი:** პდ კათეტერის წინასწარი იმპლანატცია. რეჟიმის შერჩევა (პდ ხსნარის მოცულობა, ტიპი, მუცელში დაყოვნების დრო) პერიტონეულის წონასწორობის ტესტისა და  $Kt/V \geq 1,7$ ,  $\text{CrCl} \geq 45\text{ლ/კვირაში}/1,73\text{მ}^2$  გათვალისწინებით. მაპდ-ს დროს პერიტონეულის ულტრაფილტრაციული უნარის კარგვისას  $7,5\%-იანი$  Icodextrin-ის გამოყენება. ინფექციური და არაინფექციური გართულებების მართვა ISPD გაიდლაინებით.

**ნუტრიციული სტატუსი** (სარწმუნოების დონე II, რეკომენდაცია B): ჰემოდიალიზზე  $n\text{PNA} \geq 0,8\text{გ/კგ/დღ}$ , პერიტონეულ დიალიზზე  $n\text{PNA} \geq 1,2\text{გ/კგ/დღ}$ .

**თირკმლის ტრანსპლანტაცია** (სარწმუნოების დონე II, რეკომენდაცია B): პრეემფტიური (pre-emptive) თირკმლის ტრანსპლანტაცია გვს  $< 20\text{მლ/წთ}/1,73\text{მ}^2$ , განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებისა და შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში.

**რეციპიენტის პოსტოპერაციული იმუნოსუპრესიული მკურნალობა** (სარწმუნოების დონე I, რეკომენდაცია A): კალცინევრინის ინჰიბიტორები (ციკლოსპორინ A, FK506), მიკოფენოლატ-მოფეტილი ან აზათიოპრინი, სტეროიდები

**რეციპიენტის პოსტოპერაციული მონიტორინგისათვის აუცილებელი რუტინული კვლევები** (სარწმუნოების დონე II, რეკომენდაცია B):

- არტერიული წნევის, პულსის, სხეულის წონის მონიტორები;
- სრული ობიექტური გამოკვლევა;
- პლაზმაში  $\text{Na}$ ,  $\text{K}$ ,  $\text{Cl}$ , ბიკარბონატის, კრეატინინის, შარდოვანას განსაზღვრა;
- სისხლის სურათის განსაზღვრა;
- შარდში ცილის, ერითროციტების, ლეიკოციტების, გლუკოზის განსაზღვრა;
- სისხლში ციკლოსპორინის კონცენტრაციის განსაზღვრა.

**6. გაიდლაინი, რომელსაც ეყრდნობა აღნიშნული პროტოკოლი – „თირკმლების ქრონიკული დაავადება“**

**7. ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:**

**ადამიანური რესურსები:**

- ექიმ-ნეფროლოგი;
- ქირურგი (სისხლძარღვოვანი მიდგომის უზრუნველყოფა პემოდიალიზისათვის, პდ კათეტერის იმპლანტაცია პერიტონეული დიალიზისათვის და თირკმლის ტრანსპლანტაცია);
- ექთანი, რომელსაც გავლილი აქვს ნეფროლოგიურ პაციენტებთან მუშაობის თეორიული და პრაქტიკული კურსები;
- ინჟინერი, რომელიც ერკვევა სადიალიზო დანადგარებში (ხელოვნური თირკმლის აპარატი, წყალდამამზადებელი სისტემა, დიალიზატორების რეპროცესირების აპარატი).

**ტექნიკური რესურსები:**

- ხელოვნური თირკმლის აპარატი;
- რევერს-ოსმოსის ტიპის წყალდამამზადებელი სისტემა;
- დიალიზატორების რეპროცესირების აპარატი.